

ემოციურ გამოფიტვასთან დაკავშირებული ფაქტორები ქცევით
თერაპევტებში

ანანო მესხორაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არის ჩემი ორიგინალური ნამუშევარი და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ ამ დრომდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანანო მესხორაძე

19.06.2024

აბსტრაქტი

ქცევითი თერაპევტები, ისევე როგორც სხვა ბევრი პროფესიონალი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ხშირად განიცდიან ემოციურ გამოფიტვას მათი სამუშაოს ბუნების, სამუშაოს გარემოსა და პირადი გამკლავების მექანიზმებთან დაკავშირებული ფაქტორების ერთობლიობის გამო. ისინი მუშაობენ ბენეფიციარებთან, უმეტესად ბავშვებთან, რომელთაც აქვთ განვითარების დარღვევები, ქცევით-ემოციური სირთულეები და რთული ქცევა, რაც დროთა განმავლობაში შესაძლოა თერაპევტების ემოციური გამოფიტვის მიზეზი გახდეს, საბოლოოდ კი პროფესიული გადაწყვისა და კადრის გადინების. ხშირად სხვადასხვა დიაგნოზის მქონე ბავშვებთან ახალი უნარების დასწავლის პროცესი ძალიან ნელი ან წარუმატებელია, რაც ასევე იწვევს თერაპევტის ფრუსტრაციას. კვლევის მიზანია, ვნახოთ, თუ როგორ წინასწარმეტყველებს ემოციური შრომა, თანამშრომლის ხმა და შფოთვა ემოციურ გამოფიტვას ქცევით თერაპევტებში.

ჰიპოთეზები: 1. შფოთვა დადებითად წინასწარმეტყველებს ემოციურ გამოფიტვას; 2. ემოციური შრომა დადებითად წინასწარმეტყველებს ემოციურ გამოფიტვას; 3. თანამშრომლის ხმა უარყოფითად წინასწარმეტყველებს ემოციურ გამოფიტვას. კვლევა რაოდენობრივია და მონაცემების მოგროვება მოხდა ამ სამი ცვლადის საკვლევი ინსტრუმენტის მეშვეობით, ონლაინ ფორმატში, 122 რესპონდენტის მიერ (საშუალო სამუშაო გამოცდილება 2.82 წელი ($SD=1.136$)). პასუხების სტატისტიკურად დამუშავების შემდეგ განხორციელდა მათი კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

შედეგების მიხედვით, შფოთვა და ემოციური შრომა დადებით კორელაციაშია ემოციურ გამოფიტვასთან, ხოლო თანამშრომლის ხმა უარყოფით კორელაციაშია ემოციურ გამოფიტვასთან. რეგრესიული ანალიზის თანახმად, შფოთვა და ემოციური შრომა დადებითად წინასწარმეტყველებს ქცევით თერაპევტებში ემოციურ გამოფიტვას, ხოლო თანამშრომლის ხმა უარყოფითად წინასწარმეტყველებს თერაპევტებში ემოციურ გამოფიტვას.

კვლევაში მიღებული შედეგები ხაზს უსვამს თანამშრომელსა და დამსაქმებელს შორის დამოკიდებულებისა და ურთიერთობის როლს ემოციური გამოფიტვის შესაძლო პრევენციაში.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული გადაწყვეტილება, ემოციური გამოფიტვა, ემოციური შრომა, შფოთვა, თანამშრომლის ხმა.

Abstract

Behavioral therapists, like many other mental health professionals, often experience burnout due to a combination of factors related to the nature of their work, the work environment, and personal coping mechanisms. They work with beneficiaries, primarily children, who have developmental disorders, difficulties, and challenging behavior, which can lead to emotional exhaustion for therapists over time. Often, the process of learning new skills with a child with different diagnoses could be faster and more successful, which also causes frustration for the therapist. The study aimed to determine how emotional labor, anxiety, and employee voice predict emotional exhaustion in behavioral therapists. The study is quantitative, and data was collected through these three variable survey instruments in an online format from 122 respondents (Average work experience 2.82 years (SD=1.136). After statistically processing the answers, their correlation and regression analysis was carried out. According to the results, anxiety and emotional labor correlate positively with emotional exhaustion, while employee voice is negatively correlated. Anxiety and emotional labor positively predict emotional exhaustion in behavior therapists, while employee voice negatively predicts emotional exhaustion in therapists.

The study's results emphasize the role of attitude and the relationship between the employee and the employer in preventing emotional exhaustion.

Key words: professional burnout, emotional exhaustion, emotional labor, anxiety, employee's voice.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო რესპოდენტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევის პროცესში, რომელთა გარეშეც ვერ შედგებოდა სამაგისტრო ნაშრომი.

ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაწეული დახმარებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თინათინ ჭინჭარაულს.